



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 11/12/2024

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 17:50 სთ

სხდომის თავმჯდომარე: თამარ ლომინაძე

საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27² მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

- თამარ ლომინაძე - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
- გოჩათუთბერიძე - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
- დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
- დავით გეგეჭვორი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი, პროფესორი;
- ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
- აკაკი ხელაძე - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;

7. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. **თამარ ტუფინაშვილი** – შპს „ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის“ აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;
9. **დიმიტრი ჯაფარიძე** – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;
10. **ხათუნა თოდაძე** – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით ნარკოლოგის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
11. **ვასილ კიკუტაძე** - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ბიზნესისა და ინჟინერის ფაკულტეტის დეკანი;
12. **დიანა მჭედლიშვილი** – შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
13. **ქეთევან ნანობაშვილი** – შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.
14. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
15. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

1. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი - ნინო შეყილაძე;
2. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი - ლალი ოდიშვილი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი:

1. **ნინო ჯოჯუა** - პროფესიული ხარისხის დარგში;
2. **ანა გვრიტიშვილი** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. **დავით ცირამუა** - სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
4. **მარიამ ყველაშვილი** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი;
5. **მარინა რაზმაძე** - კომპიუტერული მეცნიერების და არქიტექტურის სკოლის დეკანი;
6. **ნანა იაშვილი** - გრაფიკული დიზაინის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
7. **შოთა დოგრაშვილი** - გრაფიკული დიზაინის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თანა-ხელმძღვანელი.

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი:

1. **რუსუდან ჩიქოვანი** - ვიცე-რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების საკითხებში;
2. **დავით ბოსტოლანაშვილი** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

3. ეკა ლუაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
4. ზვიად როგავა - ვიცე-რექტორი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიმართულებით, იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
5. ქეთევან აფთარაშვილი - განათლების დეპარტამენტის უფროსი;
6. თამთა ლევიშვილი - ბიზნესისა და ინჟინერის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;
7. დავით სიხარულიძე - ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი) საბაკალავროდ პროგრამის ხელმძღვანელი;
8. ავთანდილი გაგნიძე - ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში (ქართულენოვანი/ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი.

აკრედიტაციის ექსპერტები

კოსტას მანტზალოსი (Costas Mantzalos) (თავმჯდომარე); (I საკითხი)

გიორგი ნიკურაძე; (I საკითხი)

ნინო პატარაია; (I საკითხი)

თამარ ხუციშვილი (I საკითხი).

სტეფან ვეიტი (Stefan Veith) (თავმჯდომარე); (II საკითხი)

სოფიო ხუნდაძე; (II საკითხი)

ნინო ფარსადანიშვილი; (II საკითხი)

თამარ კბილაძე; (II საკითხი)

ია ნაცვლიშვილი; (II საკითხი)

სოსო გაზდელიანი. (II საკითხი)

აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ლომინაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5 -ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „გრაფიკული დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო (180 კრედიტიანი), „ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში“ სამაგისტრო, „ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო, „ციფრული მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო, „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო და „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

უმათლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, ლალი ოდიშვილმა დააყენა შუამდგომლობა "სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 30 სექტემბრის №1197008 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვის შესახებ.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „გრაფიკული დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო (180 კრედიტიანი), „ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში“ სამაგისტრო, „ციფრული მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო, „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო და „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. "სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 30 სექტემბრის №1197008 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა.

1. პირველი საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „გრაფიკული დიზაინის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადეს დიანა მჭედლიშვილმა და ქეთევან ნანობაშვილმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ პკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტი, კოსტას მანზალოსი (Costas Mantzalos), მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი გაიმართა 2024 წლის 2 ოქტომბერს. მისი თქმით, „გრაფიკული დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა არის 3 წლიანი, რომელიც მოიცავს 180 კრედიტს. პროგრამა არის კარგად სტრუქტურირებული, რომლის სასწავლო კურსები მოიცავს პრაქტიკის სხვადასხვა სფეროებს. ასევე ის სასწავლო მეთოდოლოგიები, რომლებიც არის გამოყენებული, იძლევა გამოცდილებით სწავლების

საშუალებას და ე.წ. „Live” პროექტების განხორციელებას. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები შედგა ყველა დაინტერესებულ მხარესთან. ყველა დაინტერესებულ მხარესთან შეხვედრის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფს დარჩა იმის შთაბეჭდილება, რომ ისინი ძალიან დადებითად იყვნენ განწყობილი პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ პროგრამა ახალია და რა თქმა უნდა, არსებობდა შენიშვნები, თუმცა ყველა სტანდარტი შეფასდა „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. ბოლოს დასძინა, რომ კარგი იქნებოდა თუ დაწესებულება გაცემულ რჩევებს გაითვალისწინებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

პრორექტორი, ნინო ჯოჯუა, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა როგორც ექსპერტთა ჯგუფს, ისე ცენტრის თანამშრომლებს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, დასკვნაში რეკომენდაციები არ იყო მოცემული, თუმცა აღნიშნული იყო რჩევები, რომლებიც დაწესებულებისათვის პროგრამის განვითარების მიზნით ღირებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას სწავლის შედეგების ფორმულირებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, მე-4 სწავლის შემდეგი ფორმულირებით არის ჩამოყალიბებული: „ივარჯიშებს და გრაფიკულად ასახავს ბრენდის ვიზუალს, ტრადიციული და ციფრული პროგრამების საშუალებით. ამზადებს ტექნიკურ საპრეზენტაციო ბეჭდურ საგამომცემლო ფაილებს. მომხმარებლებთან ერთად აღწერს ნაწარმოების კონცეფციას, პროდუქტის ვიზუალურ ღირებულებას, მომხმარებლისთვის წარდგენის სტრატეგიას, წარმართავს შემუშავებული კონცეფციის დიგიტალიზაციის პროცესს“. მას აინტერესებდა, აღნიშნული სწავლის შედეგი წარმოადგენდა თუ არა ერთ სწავლის შედეგს. პრორექტორმა, ნინო ჯოჯუამ განაცხადა, რომ მე-4 სწავლის შემდეგი წარმოადგენდა ერთ სწავლის შედეგს, რომელშიც გაერთიანებული იყო ის სწავლის შედეგები, რომლებსაც სტუდენტი ცალკეული სასწავლო კურსიდან გადიოდა. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „სწავლის შედეგების რუკა“, რომელშიც მითითებულია თითოეული სწავლის შედეგის მიღწევაში დამხმარე სასწავლო კურსი. ასევე დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“, სადაც გათვალისწინებულია ის, თუ რომელ სასწავლო კურსში ხდება აღნიშნული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება, რომელთან დაკავშირებითაც ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შენიშვნა არ ყოფილა.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნანა იაშვილმა აღნიშნა, რომ დარგის სპეციფიკა არის ისეთი, რომ ეს სწავლის შედეგები ერთმანეთთან ჯაჭვურ კავშირშია. განსაკუთრებით შემოქმედებითი სახელოვნებო დარგები ყოველთვის აერთიანებს რამდენიმე კომპონენტს და პრაქტიკულად ყველა ერთ შედეგზე გადის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ მე-4 სწავლის შედეგთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აქ ერთი კი არა უამრავი სხვა სწავლის შედეგია გაწერილი ერთად. მან აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების ფორმულირებისას მრავალი აქტიური ზმნების გამოყენება არ შეიძლება. მისი თქმით, მაგალითად „ივარჯიშებს რაიმე უნარს“ - ეს ცალკე ერთი სწავლის შედეგია, „ამზადებს რაიმეს“ - ეს ცალკე სწავლის შედეგია, „აღწერს რაიმეს“ - ეს კიდევ განსხვავებული სწავლის შედეგია; ეს სწავლის შედეგები ცალ-ცალკე უნდა იყოს გამოყოფილი და ვერანაირად ვერ იქნება განხილული ერთი სწავლის შედეგის ქვეშ. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მრავალი დამოუკიდებელი სწავლის შედეგი ერთი სწავლის შედეგის ქვეშ არის მოქცეული, კითხვის ნიშანი ჩნდება თუ როგორ უნდა მოხერხდეს ამ სწავლის შედეგის შეფასება. თუ მიღწეულ იქნა ერთი სწავლის შედეგი და ვერ იქნა მიღწეული მეორე, ითვლება თუ არა სწავლის შედეგი მიღწეულად?

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ნანა იაშვილმა ციტირება მოახდინა სწავლის შედეგის: „ქმნის და გრაფიკულად ასახავს ბრენდის ვიზუალის ტრადიციული და ციფრული პროგრამების გამოყენებით ტექნიკურ, საპრეზენტაციო, ბეჭდურ, საგამომცემლო ფაილებს.“

მისი თქმით აღნიშნული წარმოადგენს ფაქტიურად ერთ მთლიან სამუშაოს. პროგრამა შეიქმნა ინგლისურ ენაზე. შესაბამისად, სწავლის შედეგების ფორმულირებისას აქტიური ზმნების რაოდენობის გაზრდა შეიძლება განპირობებული იყოს არაზუსტი თარგმანით. იდეა, რომელიც ტექნიკურად უნდა განხორციელდეს და მისი რეპროდუცირება მოხდეს, პრაქტიკულად ერთ პროექტს ეხება.

ესპერტმა, გიორგი ნიკურაძემ აღნიშნა, რომ როდესაც საუბარია გარკვეული შედეგების კომპონენტების კლასტერზე, აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება ის, რომ კურსდამთავრებული ერთიანად უნდა აკმაყოფილებდეს ჩამოთვლილ შედეგებს. მისი თქმით, სწავლის შედეგების ასეთი რაოდენობის მოცულობა აიხსნება იმით, რომ გრაფიკოს დიზაინერის სამუშაო სპეციფიკა გულისხმობს იმას, რომ ის სრულად უნდა ფლობდეს ათვისებულ მასალას ერთობლიობაში. გრაფიკოს დიზაინერის მიერ რომელიმე კომპონენტის გამოტოვება გულისხმობს შედეგის მიუღწევლობას. ვინაიდან, რთული პროდუქტია შესაქმნელი, გრაფიკოს-დიზაინერს ერთობლიობაში მოეთხოვება თითოეული იმ კომპონენტის ცოდნა, რაც არის ჩამოთვლილი ზემოაღნიშნულ სწავლის შედეგში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ შექმნის პირობითად პოსტერს.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას სწავლის შედეგების რუკასთან დაკავშირებით. მისი თქმით, „ნახატი/ვიზუალური ხელოვნება“ გადის მესამე და მეოთხე, ხოლო არ გადის მეხუთე შედეგზე. მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი. პროგრამის ხელმძღვანელმა, ნანა იაშვილმა აღნიშნა, რომ მოცემულ საგნის დასახელებაში თარგმანის პრობლემა არის, რადგან სიტყვა „ნახატის“ მაგივრად „ხატვა“ უნდა ეწეროს. აქ საუბარია მოდელირებაზე და გრაფიკულ მოდელირებაზე. ეს ორი დისციპლინა ისწავლება დაწყებით საფეხურზე, კერძოდ, მაშინ, როდესაც დიზაინერმა უნდა გამოიმუშაოს შემოქმედებითი კომპეტენცია, რომელიც კონკრეტულად ამ დარგზე კი არ არის ფოკუსირებული, არამედ საჭიროა საერთო აზროვნებისთვის, თუმცა არსებობს ისეთი კომპეტენციებიც, რომლებიც ამ დარგზეა ფოკუსირებული. მაგალითად, „ბრენდინგი“, „სტილის შექმნა“ და ა.შ.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მან აღნიშნა, რომ „3D ციფრული ვიზუალიზაცია“ და „ხელოვნების მარკეტინგი“ მხოლოდ გაცნობით გადიოდა ყველა სწავლის შედეგზე. მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი.

ნანა იაშვილმა განაცხადა, რომ სტუდენტი საბაკალავრო საფეხურზე სწავლობს ზოგად დისციპლინურ საგნებს დარგის შესახებ და რა თქმა უნდა, ბოლომდე პროფესიაში ვერ შედის. მას საშუალება აქვს აირჩიოს მისთვის სასურველი საგანი როგორც კონცეპტუალურად, ისე ტექნიკურად. შესაბამისად, „3D ციფრული ვიზუალიზაციისთვის“ გაცნობა არ არის უშუალოდ გრაფიკული დიზაინის სამყაროს აუცილებელი შესაძლებლობა იმიტომ, რომ ბრტყელი გრაფიკითაც შეიძლება გადაწყდეს გრაფიკული დიზაინის ამოცანები. მისი თქმით, „ხელოვნების მარკეტინგი“ ეს არის მარკეტინგის მიმართულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დისციპლინა და ბაკალავრის ხარისხის მქონე გრაფიკოს დიზაინერს სჭირდება მხოლოდ იმ სახით შესწავლა, როგორიც ეს ამ პროგრამაშია მოცემული, თუმცა თუ სტუდენტს სურს „ხელოვნების მარკეტინგის“ მიმართულებით ცოდნის გაღრმავება, მას ამის შესაძლებლობას მისცემს უმაღლესი განათლების მეორე და მესამე საფეხური.

ესპერტმა გიორგი ნიკურაძემ განაცხადა, რომ „3D ციფრული ვიზუალიზაცია“ არის დამხმარე საშუალება გრაფიკოს დიზაინერისათვის. მაგალითად, როდესაც ეს უკანასკნელი ამზადებს ავტომობილის ბრენდის პოსტერს და ავტომობილი არის იზომეტრიაში 30 გრადუსით დახრილი და გარკვეული კუთხით უყურებს კამერას, დამკვეთს ეს შეიძლება არ მოეწონოს და მას მოსთხოვოს 40 გრადუსით კუთხის შეცვლა. სწორედ ამ დროს ეხმარება გრაფიკოს-დიზაინერს სამგანზომილებიანი გრაფიკის ცოდნა, რათა მარტივად შემოაბრუნოს ეს ავტომობილი და როგორც სურათი დაარენდეროს და შემდეგ „Photoshop“-ში გადაიტანოს მოდიფიცირებისა და საბოლოო სახემდე მიყვანის მიზნით. „ხელოვნების მარკეტინგთან“ დაკავშირებით აღნიშნა, რომ გრაფიკოს-დიზაინერის ეფექტური კომუნიკაცია მარკეტინგის

განყოფილებასთან აუცილებელია უხარვეზოდ მუშაობის მიზნით. იქ, სადაც სტუდენტი სწავლობს „მარკეტინგის მიმართულებას“, არის სპეციფიკური საკითხები, რომელთა შესწავლაც გუნდთან ეფექტურ კომუნიკაციას ზრდის.

პრორექტორმა, ნინო ჯოჯუამ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებულ „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში“ აღნიშნულია, რომ პროგრამის ხელმძღვანელებმა და აკადემიურმა პერსონალმა უნდა მიუთითონ იმის შესახებ ინფორმაცია, თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს. აღნიშნული შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების გზამკვლევთან, რომლის შესაბამისი პუნქტი, კერძოდ, „სწავლის შედეგები“ მოითხოვს ანალოგიურ მიდგომას, მათ შორის, გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცების დონეებს და სრულად შესაბამება პროგრამის სტრუქტურას, რადგან ეს უკანასკნელი შემუშავებულია ისე, რომ ყველა სწავლის საბოლოო შედეგის მიღწევა პროგრამის სტრუქტურულად გართულების ხარჯზე მოხდეს. შესაბამისად, არსებობს გარკვეული სასწავლო კურსები, რომლებიც გარკვეულ სწავლის შედეგებში მონაწილეობენ როგორც გაცნობისა და გაღრმავების, ისე განმტკიცების დონეზე.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ თუ რომელიმე სასწავლო კუსი მხოლოდ გაცნობითი სახით გადის ყველა სწავლის შედეგზე, წარმოშობს კითხვას, თუ რა საჭიროა აღნიშნული სასწავლო კრუსის არსებობა პროგრამაში. აღნიშნულს არ დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენელი.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, პროგრამის ქართულენოვან ვარიანტში გარკვეული ტერმინოლოგიური უზუსტობებია და გამოთქვა სურვილი დაეზუსტებინა აღნიშნული პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად. მისი თქმით, ყოველ სემესტრში სასწავლო კურსების მოცულობა შეადგენს 30 კრედიტს. მაგალითად, მესამე სემესტრში მოცემულია საველე სავალდებულო კურსები 20, ხოლო არჩევითი სასწავლო კურსები 15 კრედიტის მოცულობით. მას აინტერესებდა, ნამდვილად ასე იყო თუ არა განაწილებული კრედიტების რაოდენობა პროგრამის ქართულენოვან ვარიანტში. ასევე იგულისხმება თუ არა „უფასო არჩევით კრედიტებში“ თავისუფალი არჩევითი კრედიტები.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნანა იაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამაში არჩევითი სასწავლო კურსები 15 კრედიტის მოცულობით მოცემულია არა მესამე, არამედ მთლიანი პროგრამის განმავლობაში. მისი თქმით, უფასო არჩევით კრედიტებში თავისუფალი არჩევითი კრედიტები იგულისხმებოდა, რომელიც ჯამში 25 კრედიტია და გადანაწილებულია სემესტრულად. შესაბამისად, არჩევითი საგნებიდან და თავისუფალი არჩევითი საგნებიდან სტუდენტი ირჩევს თითო-თითო 5 კრედიტიან საგანს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანა გვრიტიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის ქართულენოვან ვარიანტში გარკვეული საკითხების არასწორად ფორმულირება შეიძლება დაკავშირებული იყოს მის თარგმნასთან, რადგან ინგლისური ენიდან განათლების ტერმინები ქართული ენაზე შეიძლება ზუსტად არ ითარგმნოს.

საბჭოს წევრის, ქეთევან ქუთათელაძის განაცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ინგლისურენოვანია, დოკუმენტბრუნვა ხორციელდება ქართულ ენაზე, რომელიც არის სახელმწიფო ენა.

საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა, დამაზუსტებელი კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, სასწავლო პროცესის ორგანიზების სპეციფიკაში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი: რომ 180 კრედიტიანი პროგრამის შემთხვევაში, 120 კრედიტი მოიცავს სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტს, 15 კრედიტი არის სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტი, 20 კრედიტი ეთმობა თავისუფალ სავალდებულო კომპონენტს და 25 კრედიტი შეიძლება მოიცავდეს არჩევით კურსებს ან დამატებით პროგრამას. მას აინტერესებდა, უნივერსიტეტი რას სთავაზობს სტუდენტს, არჩევით კურსებს, დამატებით პროგრამას თუ ორივეს ერთად.

ნინო ჯოჯუამ აღნიშნა, რომ ყველა პროგრამასთან მიმართებაში დაწესებულებას ერთნაირი მიდგომა აქვს, კერძოდ, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, რომ 25 თავისუფალი კრედიტების ფარგლებში აირჩიოს პროგრამაში არსებული არჩევითი სასწავლო კურსები. ასევე მას შეუძლია,

შესაბამისი საფეხურის წინაპირობების დაცვით ნებისმიერი სასწავლო კურსი აირჩიოს. გარდა ამისა, მას უფლება აქვს აირჩიოს დამატებითი პროგრამა ან დამატებით პროგრამაში არსებული სასწავლო კურსები თავისუფალი კრედიტების ფარგლებში სტუდენტებს არ აქვთ შეზღუდვა დაწესებული დაწესებულების მხრიდან.

საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა განმარტა, რომ მინისტრის „N206“-ე ბრძანებაში მოცემულია, რომ 180 კრედიტიან პროგრამაში დამატებითი პროგრამა შეიძლება იყოს არანაკლებ 30 კრედიტი და არაუმეტეს 60 კრედიტისა. შესაბამისად, დაწესებულებამ ეს საკითხი შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს მინისტრის „N206“-ე ბრძანებასთან, ვინაიდან დამატებითი პროგრამა უნდა მოიცავდეს მინიმუმ 30 კრედიტს და სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ 25 კრედიტს.

საბჭოს წევრს, თამარ ტუფინაშვილს ჰქონდა შემდეგი რჩევა: ვინაიდან, 1.4 ქვესტანდარტის მოთხოვნით მიზანში უნდა იკვეთებოდეს როგორც ცოდნა-უნარები, ისე ის კომპეტენციები, კარგი იქნება თუ დაწესებულება კიდევ ერთხელ გადახედავს მიზანს და გამოკვეთს იმ პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელსაც პროგრამა იმუშავებს შედეგად მეტნაკლებად შესაბამისობა იქნებოდა მიზნის პუნქტებსა და მე-8, მე-9 შედეგებს შორის.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ, აზრი დააფიქსირა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებთან დაკავშირებით. მისი თქმით, საბჭოსთვის წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემული იყო მხოლოდ პროგრამის ქართულენოვანი მასალა. მან აღნიშნა, რომ ის ისურვებდა უფრო კორექტული დოკუმენტაციის დაწესებულების მხრიდან ცენტრისათვის გაზიარებას ცენტრისთვის საქმის სრულყოფილად განხილვის მიზნით. პროგრამის ქართულენოვანი მასალა იძლეოდა ნარატიული ნაწილის არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის საშუალებას. ამრიგად, კარგი იქნება თუ დაწესებულება ამ საკითხზე მეტი ყურადღება ექნება.

თამარ ლომინაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რამდენად შეესაბამებოდა ბაკალავრიატის საფეხურს ისეთი საგნები, რომლებიც მიმართულია კონკრეტულად რომელიმე ინსტრუმენტის შესწავლისაკენ და არ არის არავითარი თეორიული მიმოხილვა, თეორიული საფუძვლები თუ რა შემთხვევაში, რატომ და როგორ უნდა იქნეს ესა თუ ის ინსტრუმენტი გამოყენებული და ისწავლება მაგალითად, „Photoshop“-ი, „Illustrator“-ი, „Adobe Premiere“-ი და ა.შ. ისწავლება მხოლოდ და მხოლოდ ინსტრუმენტი და საკითხების ჩამონათვალს თუ გადავხედავთ, იქ არის, მაგალითად, სხვადასხვა მენიუში სხვადასხვა ინსტრუმენტები როდის უნდა იყოს გამოყენებული და რა ფუნქციები აქვს. ამდენად, საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, თუ რამდენად იყო საბაკალავრო საფეხურის დონის შესაბამისი ასეთი სილაბუსი.

პროგრამის თანახელმძღვანელმა, შოთა დოგრაშვილმა აღნიშნა, რომ სილაბუსებში მოცემულია კონკრეტულად ის დავალებები, რომლებიც ამ ხელსაწყოების პრაქტიკაში გამოყენებას საწყის ეტაპზე უზრუნველყოფს. მაგალითად, ერთ დღეს, როდესაც ხდება კონკრეტული „Tool“-ის ფუნქციონალის აღწერა, სტუდენტს ეძლევა ისეთი ტიპის შესასრულებელი ამოცანა, რომელიც ამ „Tool“-ის შესაძლებლობებს კიდე უფრო მეტად დაანახვებს პრაქტიკაში. რეალურად Soft-ები ისწავლება საწყის ეტაპზე და მომდევნო კურსებზე მეორე და მესამე სემესტრში ნებისმიერი პროგრამა სტუდენტის შემოქმედებით განვითარებაზე მუშაობს და ეს soft-ები ხდება ინსტრუმენტები სტუდენტის ხელში და კონკრეტულ დავალებებს ამ soft-ებით ასრულებს. ნებისმიერი კურსი დაფუძნებულია იმაზე, რომ სტუდენტს შეეძლოს როგორც Photoshop"-ის, ასევე „Illustrator“-ის შესწავლა ტექნიკურად და შემდეგ ამ ცოდნით მივიდეს შემოქმედებით ნაწილამდე, იმ იდეამდე რომ მაგალითად შექმნას ლოგოტიპი, როგორ უნდა შეარჩიოს ფერები და ა.შ. საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ სწორედ ამისკენ იყო მისი კითხვა მიმართული. საქმე რომ ეხებოდეს პროფესიულ პროგრამას, მას არავითარი კითხვა არ ექნებოდა, მაგრამ ვინაიდან განსახილველად წარმოდგენილია საბაკალავრო პროგრამა, მის მიმართ, როგორც საბაკალავრო პროგრამის მიმართ, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო ცოდნისა და გაცნობიერების ნაწილში აყენებს შემდეგ მოთხოვნას: „სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს

ფართო (სრული ზოგადი განათლების შემდგომი) ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებასა და ცოდნის ზოგიერთ უახლეს ასპექტს". მაშინ როდესაც, ეს პროგრამა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, უფრო მეტად ორიენტირებულია პრაქტიკაზე და პრაქტიკული ინსტრუმენტების გამოყენებაზე.

ექსპერტმა, გიორგი ნიკურაძემ აღნიშნა, რომ პრაქტიკაში პრაქტიკული ცოდნის განხორციელება თეორიის გარეშე შეუძლებელია. მაგალითად, თუ ლექცია 60 წუთიანია, 20 წუთი აუცილებლად ეთმობა თეორიას, თუ რა საკითხების ირგვლივ უნდა მოხდეს ამ თუ იმ ინსტრუმენტის შესწავლა. შემდეგ ეტაპი არის უშუალოდ ამ ინსტრუმენტების პრაქტიკულად გამოყენება და შემდეგ ხდება თეორიის და პრაქტიკის შერწყმა. რა დროსაც, ლექტორი ერთგვარად სტუდენტის ნამუშევრებიდან გამომდინარე აფასებს, რამდენად თეორიასთან შესაბამისობაში აითვისა პრაქტიკული ინსტრუმენტი. ექსპერტის თქმით, პრაქტიკული ინსტრუმენტი არ არის ცალკე მდგომი და თეორიულ საკითხებს არ ექვემდებარება, გამოვა ტექნიკური ცოდნა, რომელიც არაფრის მაქნისია და ვერანაირ შედეგზე ვერ გაგვიყვანს. ამიტომ რასაც აკეთებენ, სამუშაო თავის თავში გულისხმობს კონკრეტულ თეორიულ ცოდნაზე დაფუძნებული პრაქტიკული ამოცანების გადაჭრას. აქ თეორიული ცოდნა გვაქვს და ვამოწმებთ ამ თეორიულ ცოდნას როგორ ვიყენებთ პრაქტიკაში და აქ უკვე გამახვილებულია ყურადღება კონკრეტულ ინსტრუმენტებზე. ექსპერტის თქმით ყველა სასწავლო კურსში ასეთი სურათია. საბჭოს თავმჯდომარებ. აღნიშნა რომ სილაბუსებში არ ჩანს ეს ყოველივე, რა მსჯელობაც ექსპერტმა განავითარა, სილაბუსებში მირითადად ვხვდებით ინსტრუმენტების აღწერას, რაზეც ექსპერტიც დაეთანხმა. თუმცა ექსპერტმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ ლექტორი ლექციას ვერ წარმართავს თეორიული საკითხების გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსში წერია ინსტრუმენტების აღწერა. ეს ინსტრუმენტი თავისთავად გულისხმობს იმ თეორიულ საკითხებს, რომელიც მასთანა რელევანტური. პროგრამის ხელმძღვანელმა, ნანა იაშვილმა განაცხადა, რომ სახელოვნებო დარგები ინტერდისციპლინურია და თავის თავშივე გულისხმობს ამ მთლიანობას და ძალიან რთულია გამოვყოთ თეორიული ნაწილი, კონკრეტული დავალების შესრულების პროცესში, პრაქტიკული ნაწილისგან. ლექტორი ვალდებულია, რომ სტუდენტს აუხსნას თეორიული საკითხი კონკრეტული პროგრამის შესახებ. სილაბუსში ასევე მითითებულია შესაბამისი ლიტერატურაც. ამრიგად, ეს არის ლექცია-პრაქტიკული, რომელიც ორიენტირებულია გარკვეული ამოცანის მიღწევაზე როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

თამარ ლომინაძემ აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა თუ ეს ყველაფერი როგორც სილაბუსებში, ისე კურიკულუმში იქნებოდა ასახული. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათი აზრით ეს ყოველივე ასახულია კურიკულუმში, რომელიც დადარებულია მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტებს ანალოგიურ პროგრამებს.

თამარ ლომინაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, პროგრამაში არსებული სასწავლო კურსი „ვებდიზაინის საფუძვლები“ თავისი შინაარსით არ წარმოადგენს „ვებდიზაინს“, რადგან მასში ნახსენებიც კი არ არის „HTML“-ი, „CSS“-ი, „UI“-ი, „UX“-ი და ა.შ. ყველა საკითხი შეეხება მხოლოდ ერთ ინსტრუმენტს - „Figma“-ს. გარდა ამისა, კურსის მიზანია „სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება ვებ დიზაინის ტექნოლოგიების ტენდენციების შესახებ. მობილური აპლიკაციის მირითადი კომპონენტების სწავლება: აპლიკაციის დაგეგმვა, ტექსტებთან, სურათებთან მუშაობა და აპლიკაციის მზა, სამუშაო პროტოტიპის შექმნა.“ საბჭოს თავმჯდომარის, როგორც ინფორმატიკოსის შეფასებით, მოცემული სილაბუსით რთული იქნება საუბარი მობილურ აპლიკაციებზე, შეიძლება ასწავლო მობილური აპლიკაციის კომპონენტები, მაგრამ მობილური აპლიკაციის ტესტირებაზე და „development“-ზე საუბარი რთული იქნება, ეს სხვა ტექნოლოგიებია და სილაბუსში არის მხოლოდ ერთი ინსტურმენტის - „Figma“-ს განხილვა. საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, თუკი ინსტრუმენტების სწრაფად ცვალებადობის ტენდენციის გათვალისწინებით, პირობითად, ხვალ „Figma“ აღარ იარსებებს, ამ სილაბუსით „ვებ დიზაინის“ სწავლა, სამწუხაროდ იქნება ძალიან რთული, თუ არა შეუძლებელი. მან დაწესებულებას მიმართა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი

პოზიცია დაეფიქსირებინა. პროგრამის თანახელმძღვანელმა, შოთა დოგრაშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნული კურსის მიზანია, რომ სტუდენტს ასწავლოს დიზაინის შექნის პროცესი. დიზაინერს არ აქვს პირდაპირი შეხება „HTML“-ის შექმნასთან. მისი თქმით, „Figma“ სრულად უზრუნველყოფს დიზაინის სწავლებას. შესაბამისად, ეს კურსი მოიცავს მხოლოდ დიზაინთან და მის შესწავლასთან დაკავშირებულ საკითხებს. შემდეგ გუნდთან მუშაობის დროს „HTML“-ის და მსგავსი ტიპის ფაილების გაკეთებას უზრუნველყოფენ პროგრამისტები, რადგან ეს არის ტექნიკური ნაწილი. პროგრამის ხელმძღვანელმა, ნანა იაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს იმ პროგრამის სწავლების გამოცდილება, რომელსაც ჰქვია „მულტიმედია დიზაინი“. გრაფიკულ დიზაინერს არ აქვს ვალდებულება „UX“ ან „UI“-ი ვებდიზაინზე მუშაობის. მას აქვს ვალდებულება ზოგადად დიზაინისა და ბრენდის სტილის შექმნაზე. ასევე ფერისა და გრაფიკის დახვეწაზე. თუ სტუდენტს აქვს იმისი სურვილი, რომ ისწავლოს „HTML“-ი, „CSS“-ი, „UI“-ი და „UX“-ი, ინფორმაციული ტექნოლოგიების ფაკულტეტი აძლევს შესაძლებლობას, რომ ისინი არჩევითი კურსების სახით ისწავლოს.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ, განაცხადა, რომ საგნის სახელწოდება „ვებდიზაინის საფუძვლები“ არ შეესაბამებოდა თავად სილაბუსის კონტენტს. მისი თქმით, იმისათვის რომ კურს ერქვას „ვებდიზაინის საფუძვლები“, სილაბუსში აუცილებლად უნდა ყოფილიყო UI“-ის და „UX“-ის რაიმე ელემენტები.

პროგრამის ხელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს თავმჯდომარეს რჩევისთვის და აღნიშნა, რომ ვინაიდან „გრაფიკული დიზაინის“ საბაკალავრო პროგრამა ვერ იქნებოდა უსასრულო, ფოკუსირება მოხდა დიზაინზე, სწორია სილაბუსი და „Figma“ დიზაინის პროცესში დამხმარე ინსტრუმენტად იქნა შემოტანილი. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, ბოლოს სემესტრში ისწავლება სასწავლო კურსი „წინა სამაგისტრო პრაქტიკა“, რომლის კურსის მიზანში წერია შემდეგი: კურსის მიზანი სადიპლომო პრაქტიკაში აერთიანებს ორგანიზებულ სამუშაოს, რომელიც ასახავს სამი წლის სწავლის შედეგებს და შემდეგ ჩამოთვლილია თუ რა ცოდნას აერთიანებს. მას აინტერესებდა, რა მიზანს ემსახურებოდა აღნიშნული სასწავლო კურსი და ნამდვილად „წინასამაგისტრო პრაქტიკა“ თუ არა. თუ ეს მართლაც არის ისეთი საგანი, რომელიც სტუდენტს ამზადებს სამაგისტრო საფეხურისთვის, საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რატომ არ იყო მასში კომპონენტები, რომლითაც იფარება სამაგისტრო კვლევებისათვის აუცილებელი ის მინიმალური ცოდნა და უნარები, რაც სტუდენტს სჭირდება შემდეგ საფეხურზე.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნანა იაშვილმა აღნიშნა, რომ ეს არის არა „წინა სამაგისტრო პრაქტიკა“, არამედ „წინა სადიპლომო პრაქტიკა“, რომელიც სტუდენტს ამზადებს საბაკალავრო ნაშრომის შექმნისთვის. ეს სილაბუსი მოიცავს ხელმძღვანელთან ერთად სტუდენტის მუშაობს სადიპლომო ნაშრომზე, რა დროსაც სტუდენტი მუშაობს სტუდიაში, იღებს კონკრეტულ ამოცანას გადასაწყვეტად და ქმნის ერთიან პროდუქტს. თამარ ლომინაძემ კითხვით მიმართა ნანა იაშვილს. მას აინტერესებდა, რამდენად დაშვებული იყო „წინა სადიპლომო პრაქტიკისა“ და „საბაკალავრო თეზისის“ ერთ სემესტრში სწავლება. ნანა იაშვილმა განაცხადა, რომ მათი სწავლება პარალელურ რეჟიმში, ერთ სემესტრში ხდება. სტუდენტი მუშაობს იმ თეზისზე, რომელიც მან მიიღო იმ კომპანიისაგან, სადაც ის გადის პრაქტიკას.

ექსპერტმა გიორგი ნიკურაძემ ვებდიზაინის შესახებ ზემოთ განვითარებულ მსჯელობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ 2003 წელს „მაკრომედია ფლეში“ ეკუთვნოდა კომპანია „მაკრომედიას“, რომელიც 2005 წელს შეიძინა კომპანია „Adobe“-მ. მისი თქმით, 2003-2004 წლებში მას, როგორც ვებდიზაინერს, უწევდა ვებგვერდების გაკეთება მაშინ, როდესაც სხვა კომპანიები ანალოგიურ ვებგვერდებს „HTML“-ში და „CSS“-ში აკეთებდნენ. იმ დროს ამ მიმართულების სპეციალისტს მოეთხოვებოდა „ფრონტენტის“, „ვებდიზაინის“, „Motion Graphic“-ის ცოდნა და პროგრამირება „Action Script“-ში. იყო პერიოდი, როდესაც ეს მთელი რიგი კლასტერული ცოდნა მოეთხოვებოდა ვებდიზაინერს, თუმცა დღეს ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, შეიცვალა. მაგალითად, „Figma“ შემოვიდა „Adobe XD“-ის კონკურენტად. ერთმანეთისაგან გაიმიჯნა „Frontend“ და „Backend“ დეველოპერი და ა.შ. შესაბამისად,

გარკვეული პერიოდის განმავლობაში რთული იყო იმის განსაზღვრა თუ ვინ იყო ვებდიზაინერი. მისი თქმით, ის, ვინც მუშაობს „Figma“-ზე, იგულისხმება, რომ ის არის „UI“-ი და „UX“ დეველოპერი. მოცემულ პროგრამასთან დაკავშირებით, იმ ინფორმაციის გათვალისწინებით, რაც იყო წარმოდგენილი აკრედიტაციის ვიზიტის პროცესში, შეიძლება ითქვას, რომ ეს ის ცოდნის ნაწილია, რომელიც გრაფიკოს დიზაინერს შეიძლება მოვთხოვოთ საჭიროებიდან გამომდინარე, და არა უშუალოდ ვებდიზაინერს, რომელმაც, მაგალითად უნდა იმუშაოს სტუდიაში. რაკი მუდმივად ცვალებადი და განვითარებადია ეს სფერო, ამ ეტაპზე დამაკმაყოფილებელია უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი „გრაფიკული დიზაინის“ პროგრამა, მაგრამ სამომავლოდ, შესაძლოა, კიდევ უფრო მეტად გაიმიჯნოს, ან, პირიქით, გაერთიანდეს სხვა მიმართულებებთან.

თამარ ლომინაძემ შეკითხვით მიმართა ექსპერტს, თუ რამდენად იყო გამართლებული სილაბუსის კონტენტის გათვალისწინებით საგნის სახელწოდება „ვებდიზაინის საფუძვლები“. ექსპერტ გიორგი ნიკურაძის თქმით, ცალსახად შესაძლებელია მსჯელობა იმაზე, რომ ეს არ არის ვებდიზაინერს რაც სჭირდება შრომის ბაზარზე, მაგრამ, მეორე მხრივ, ვერ დავუკარგვათ რომ გრაფიკოს-დიზაინერმა რაც უნდა იცოდეს ვებ დიზაინის მიმართულებით ყველაფერი არის ამოწურული. მაშინ შეიძლება დაისვას კითხვა, თუ რატომ არის საჭირო გრაფიკოსი დიზაინერისთვის ვებდიზაინის ცოდნა. სწორედ აქ არის ის ინდუსტრიის ნაწილი, სადაც გრაფიკოს დიზაინერისთვის პროგრამული უზრუნველყოფიდან გამომდინარე ერთ-ერთი ინსტრუმენტია „Figma“, რომელსაც გამოიყენებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანა გვრიტიშვილმა ყურადღება გაამახვილა ტექნიკურ საკითხზე. მან აღნიშნა, რომ იგი იზიარებს იმ ფაქტს, რომ საქმის წარმოების ენა არის ქართული, თუმცა, გამოთქვა თავისი წუხილი იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოს წევრებისთვის არ ყოფილა მიწოდებული ინგლისურენოვანი დოკუმენტაცია. მისი თქმით, ვინაიდან პროგრამა არის ინგლისურენოვანი, კარგი იქნებოდა საბჭოს წევრებს ენახათ პროგრამის ორიგინალი - ინგლისურენოვანი ვერსია.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა უკეთესი ხარისხი ნათარგმნი დოკუმენტაცია ყოფილიყო წარმოდგენილი.

თამარ ლომინაძემ აღნიშნა, რომ „ბენჩმარკინგის“ დოკუმენტში ჩამოთვლილია რამდენიმე სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მსგავსი კურიკულუმები და საგნები, თუმცა არ არის მოცემული აღნიშნული პროგრამის ანალიზის ნაწილი თუ რაშია არის ამ პროგრამისა და სხვა დაწესებულებების მსგავს პროგრამებს შორის თანხვედრა, რისი გათვალისწინება მოხდა, რა არის უნიკალური, რასაც თქვენ სთავაზობთ. აღნიშნული „ბენჩმარკინგის“ დოკუმენტზე მეტად, უბრალოდ მსგავსი პროგრამების ჩამონათვალის შთაბეჭიდილებას ტოვებს. მაგალითად, დაახლოებით სამი უნივერსიტეტის კურიკულუმი პირდაპირ უცვლელად იყო გადმოტანილი დოკუმენტში, ამიტომ საბჭოს თავმჯდომარის აზრით აღნიშნულ დოკუმენტს აკლია მთავარი, ის რაც არის „ბენჩმარკინგის“ იდეა - შედარება სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამისა სხვა უნივერსიტეტების პროგრამებთან, შესაბამისი ანალიზისა და დასკვნების გაკეთება. მას აინტერსებდა, დაწესებულების პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით. პროგრამის ხელმძღვანელმა, ნანა იაშვილმა აღნიშნა, რომ ამ დოკუმენტში მოყვანილი ერთ-ერთი უნივერსიტეტის, კერძოდ, „გრაცის უნივერსიტეტის“ ანალოგიური პროგრამის განმარტებები, დისციპლინების შინაარსიდან გამომდინარე, სწორედ იმიტომ მოხვდა აღნიშნულ დოკუმენტში, რომ ის ძალიან ახლოს არის და თითქმის იდენტურია მაგალითად იმ სილაბუსების საგნების დისციპლინების, რომლებიც ასევე სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამაშია გათვალისწინებული და ასახავს იგივე კომპეტენციებს, როგორც მიზანს, ასევე შედეგზე გასვლის უნარს, ასევე საგნის და დისციპლინის შინაარსს. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს არ არის მხოლოდ მსგავსი კურიკულუმებისა და პროგრამების ჩამონათვალი, მაგალითად, შედარებისთვის, ცალ მხარეს არის შავი ზღვის უნივერსიტეტის პროგრამა, მეორე მხარეს არის შესადარებელი პროგრამის დისციპლინების ჩამონათვალი.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, შეიძლება სემესტრებში იყოს აცდენა, ან დასახელებაში, მაგრამ აკადემიური თავისუფლების ფარგლებში დაწესებულება თავისუფალია ამ მხრივ და არ არის ვალდებული ზუსტი კოპირება გააკეთოს. ქართული ბაზრის და საქართველოში ინგლისურენოვანი პროგრამაზე მოთხოვნის გათვალისწინებით მოხდა ამ დოკუმენტზე მუშაობა და თუ რაიმე დამატებითი რჩევა ან რეკომენდაცია იქნება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, უნივერსიტეტი გაითვალისწინებს.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა დადარების ნაწილი, კერძოდ, მას გახსნილი ჰქონდა დოკუმენტი სადაც მოცემული იყო LISAA School of design -ის პროგრამა და შავი ზღვის უნივერსიტეტის პროგრამა გვერდიგვერდ და შედარებული არის „ფიგურების ხატვა“ და „უცხო ენა“. იგი დაინტერესდა თუ რა კავშირში იყო ეს ორი ერთმანეთთან. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს ნაწილი არ იყო შედარებული. საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ ამ დოკუმენტში გვერდიგვერდ იყო ეს ორი საგანი წარმოდგენილი, ამასთან, არ მოჰყვება არავითარი ნარატიულ ნაწილში, სადაც განმარტებული იქნებოდა, თუ რას ემსახურება გვერდიგვერდ ამ საგნების წარმოდგენა, ერთმანეთთან დადარებას, სემესტრულ განაწილებაა მოტანილი თუ სხვ. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარის თქმით, აღნიშნული დოკუმენტი არ წარმოადგენს სრულყოფილ „ბენჩმარკინგის“ დოკუმენტს.

თამარ ლომინაძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, პროგრამას ახორციელებს სამი აფილირებული პერსონალი და არცერთი მისი ხელმძღვანელი არ არის უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალის სტატუსით დასაქმებული. მას აინტერსებდა, რამდენად განსაზღვრავდა ეს პროგრამის მდგრადობას.

ექსპერტმა გიორგი ნიკურაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი, როდესაც შეხვდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, მათ აღნიშნეს, რომ დაწესებულებას მიზნად აქვს დასახული, რომ რეგიონში იყოს ერთ-ერთი წამყვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. ამის სრულყოფილებაში მოყვანის მიზნით უნივერსიტეტი შეეცდება უცხოელი პროფესორების მოზიდვას პროგრამაზე. იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამა ახალია და ჯერ არ ჰყავთ სტუდენტები, დაწესებულებას აქვს მისი განხორციელების რესურსი სასტარტო პირობების გათვალისწინებით. .თუკი მომავალში მოხდება უცხოელი პროფესორების დაწესებულებაში დასაქმება პროგრამის განხორციელების ენიდან და დაწესებულების მიზნიდან გამომდინარე, გახდეს წამყვანი უნივერსიტეტი რეგიონში გრაფიკული დიზაინის მიმართულებით, ექსპერტის აზრით პროგრამა ამ ფორმით სავსებით მისაღებია. საერთაშორისო ექსპერტმა, კოსტას მანზალოსმა (Costas Mantzalos) განაცხადა, რომ ის ეთანხმებოდა გიორგი ნიკურაძის მოსაზრებას. მისი თქმით, უნივერსიტეტი მზად არის ამ ეტაპზე განახორციელოს პროგრამა და მხარი დაუჭიროს მის განვითარებას. საერთაშორისო ექსპერტმა განაცხადა, რომ ის ხედავს უნივერსიტეტის მზაობას დაიმატოს დაიმატოს პერსონალი, თუმცა დღეის მონაცემებით, საწყისი ეტაპისთვის საკმაოდ მდგრადად გამოიყურება.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მე-4 სტანდარტი ექსპერტთა მიერ შეფასებულია, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭოს თავმჯდომარემ დამაზუსტებელი შეკითხვით მიმართა ექსპერტს, გიორგი ნიკურაძეს, ნამდვილად თვლიდა თუ არა ის, რომ 3 აფილირებული პერსონალი და პროგრამის 2 ხელმძღვანელი, რომელიც არცერთი არ არის აფილირებული პერსონალი, პროგრამის მდგრადობისთვის საკმარისია.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნანა იაშვილმა აღნიშნა, რომ ის არის მოწვეული პროფესორი, თუმცა პროგრამის მეორე ხელმძღვანელი იყო ასოცირებული პროფესორი, კონკურსგავლილი აკადემიური პერსონალი.

შოთა დოგრაშვილმა დაადასტურა, რომ ის არის შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი, თუმცა აფილირების შესახებ ინფორმაცია CV-ში არ არის მოცემული.

ექსპერტმა გიორგი ნიკურაძემ უპასუხა თამარ ლომინაძის შეკითხვას. იგი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმდომარის პოზიციას და გაიმეორა, რომ სასტარტო ეტაპისთვის სავსებით შესაბამისია საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის მე-4 სტანდარტთან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:32

დასრულების დრო: 16:13

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა შეფასება, კერძოდ, 1.1 კომპონენტთან მიმართებით გასცა რჩევა, ხოლო 1.2, 1.3, 1.4 და 1.5 კომპონენტებთან მიმართებით გასცა რეკომენდაციები, რამაც გამოიწვია აღნიშნული კომპონენტების შეფასების ცვლილება და ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; აღნიშნულმა ცვლილებებმა გამოიწვია მთლიანი სტანდარტის შეფასების ცვლილება და 1-ლი სტანდარტის შეფასება, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დაყენა: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „გრაფიკული დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს წევრების სათათბირო ოთახიდან დაბრუნების შემდეგ, მათ მიერ გადაწყვეტილების გამოცხადებამდე, დაწესებულების პრორექტორმა, ნინო ჯოჯუამ ითხოვა ნებართვა განცხადების გასაკეთებლად, რაზეც საბჭოს თავმჯდომარისგან მიიღო თანხმობა. ნინო ჯოჯუამ ისაუბრა ინგლისურენოვანი მასალების არასწორ ქართულენოვან თარგმანზე და იქ გამოყენებულ არასწორ ტერმინებზე, რომელიც გაუდერდა საბჭოს სხდომის განმავლობაში, მაგალითად ნახსენები იყო „უფასო კრედიტები“ ნაცვლად თავისუფალი კრედიტებისა. აღნიშნულთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ ცენტრში წარდგენილი პირველადი დოკუმენტაცია, როგორც ინგლისურენოვანი, ისე ქართულენოვანი, სრულად ამოიცვალა დაწესებულების მიერ საამისოდ დადგენილი ვადების დაცვით. მან უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ცენტრის მიერ არ მოხდა ინგლისურენოვანი დოკუმენტაციის გაზიარება და მხოლოდ ქართულენოვანი დოკუმენტები მიეწოდა საბჭოს. გარდა ამისა, მათ გადამოწმეს და „იაფი კრედიტები“ ნამდვილად ფიგურირებს პირველად დოკუმენტებში, ვინაიდან შემჭიდროვებულ ვადებში მოხდა თარგმანის გაკეთება, თუმცა მოგვიანებით გასწორდა ნათარგმნი ვერსიებიც და წარდგენილ იქნა ცენტრში დადგენილი ვადების დაცვით. მისი განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა იმუშავა სწორედ ამ დოკუმენტაციაზე და მის საფუძველზე დაიწერა საბოლოო დასკვნა ამ სახით. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, ნინო ჯოჯუამ განაცხადა, რომ დაწესებულება არ მიიჩნევს სამართლიანად და სწორად დოკუმენტაციის მიმართ წაყენებულ შენიშვნებს, მხოლოდ იმის გამო რომ საბჭოს წევრებისთვის მოხდა არასწორი დოკუმენტაციის მიწოდება.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ანა გვრიტიშვილი დაეთანხმა ნინო ჯოჯუას და კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ექსპერტებს არ უმუშავიათ იმ დოკუმენტაციის საფუძველზე, რომელიც საბჭოსთვის იქნა გაზიარებული. ეს არ არის პროგრამის ბოლო ვერსია, მითუმეტეს, პროგრამა ინგლისურენოვანია და, მიუხედავად ამისა, მხოლოდ ქართულენოვანი დოკუმენტები იყო საბჭოსთვის მიწოდებული. აღნიშნული დოკუმენტები იყო საწყისი, პირველადი ვერსია და ამიტომ გასწორდა ქართული

ტერმინოლოგია და ამოცვლა მოხდა დადგენილ ვადაში. შესაბამისად, ანა გვრიტიშვილის თქმით, დაწესებულებას აღნიშნულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღება არ მიაჩნია სამართლიანად და მართებულად. აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ განმარტა, რომ გადაწყვეტილების მიღებისას საბჭოს თარგმნის ხარისხი ნამდვილად არ გაუთვალისწინებია.

ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა დრო აღნიშნული საკითხის გადასამოწმებლად.

ცენტრის უმაღლესი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, ლალი ოდიშვილმა განაცხადა, რომ დაუკავშირდა პროგრამის კოორდინატორს, რომელიც უძლვებოდა აღნიშნული საკითხის ადმინისტრაციულ წარმოებას, რათა სრულყოფილად გადამოწმებულიყო ყველა დოკუმენტი და ენახა რომელ ეტაპზე რა დოკუმენტაცია იყო წარმოდგენილი. ხარვეზის შემდეგ, ცენტრში მხოლოდ ორი დოკუმენტია წარმოდგენილი, რომელიც გაზიარებულია საბჭოსთვის. დაწესებულების აკრედიტაციის მაძიებლად ცნობის შესახებ ცენტრის დირექტორის ბრძანების გამოცემის შემდეგ, წარმოდგენილია მხოლოდ ინგლისურენოვანი თვითშეფასება და განახლებული დანართი 10, მაგრამ არ არის წარმოდგენილი პროგრამა და სილაბუსები. შემოწმდა როგორც დისკუზე არსებული, ისე ცენტრის ელექტრონულ სისტემაში ასახული ინფორმაცია.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „გრაფიკული დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2030 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

- რეკომენდებულია მოხდეს სწავლის შედეგების რეფორმულირება ისე, რომ ისინი იყოს გაზომვადი და შეფასებადი (1.2)
- რეკომენდებულია დაკორექტირდეს კურიკულუმის რუკა, რათა აისახოს შედეგების განვითარების თანმიმდევრობა და დაზუსტდეს თითოეული სასწავლო კურსის როლი პროგრამის შედეგების მიღწევაში; (1.3)
- რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურა (დამატებით პროგრამასთან მიმართებაში) მოვიდეს შესაბამისობაში მინისტრის #206/ნ ბრძანებასთან - 2019.30 სექტემბერი. (1.4)
- რეკომენდებულია სასწავლო კურსის სიღლაბუსის "ვებ-დიზაინის საფუძვლები" შინაარსი და სათაური შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან (1.5).

რჩევები:

- სასურველია პროგრამის მიზნებში აისახოს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტი;
- სასურველია, პროგრამის მესამე სემესტრში შეთავაზებული პროგრამული უზრუნველყოფის კურსი "Adobe Premier" გაერთიანდეს მეოთხე სემესტრის კურსთან "Motion Graphic After Effects". შესაბამისად, პროგრამის სტრუქტურას შეიძლება დაემატოს ახალი კურსი მეოთხე სემესტრში გამონთავისუფლებული კრედიტების საფუძველზე. აღნიშნული ახალი კურსი შეიძლება მოიცავდეს დამატებითი პროგრამული უზრუნველყოფის სწავლებას, როგორიცაა Adobe InDesign ან მის ეკვივალენტს.
- სასურველია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს აკადემიური პერსონალის განვითარების შესაძლებლობები ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, იმისათვის, რომ უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის მუდმივი ინფორმირებულობა თანამედროვე ტექნოლოგიურ მიღწევებზე.
- სასურველია, გაიზარდოს კვლევითი ბიუჯეტი

- კვლევისთვის მოგებიდან დამატებით 10 - 15% - ის (დაახლოებით 27,000 - დან 41,000 ლარამდე) გამოყოფით. აღნიშნული შეიძლება მიმართული იყოს:
- აკადემიური პერსონალის კვლევითი გრანტების და საერთაშორისო კონფერენციებზე გამგზავრების სტიპენდიებისკენ.
- სასურველია, განხორციელდეს ინდუსტრიის პარტნიორებთან კოლაბორაციული დიზაინის პროექტები, რაც ასევე გააძლიერებს სტუდენტების სასწავლო გამოცდილებას. - სასურველია, ყოველწლიური კვლევითი გამოფენების ან დიზაინის ჩვენებების ორგანიზება ინოვაციური ნამუშევრების პოპულარიზაციის მიზნით.

- სასურველია, სტუდენტებისთვის დაწესდეს კვლევითი ასისტენტობა:
- კვლევითი ბიუჯეტიდან მცირე ნაწილის გამოყოფით სტუდენტებისთვის განისაზღვროს ანაზღაურებადი კვლევითი ასისტენტობა. აღნიშნული გააძლიერებს სტუდენტების კვლევით უნარებს და დაეხმარება სამომავლო კარიერისთვის პორტფოლიოების შექმნაში.
- სასურველია, უნივერსიტეტმა ინიცირება გაუკეთოს სტუდენტების განვითარების პროგრამებს:
- ჩამოაყალიბეთ სტუდენტების განვითარების ფონდი, რომელიც გაითვალისწინებს: - სტაჟირების პროგრამებს პარტნიორ ორგანიზაციებში.
- უნარების განმავითარებელ სემინარებს (მაგ. დიზაინის თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფა, პორტფოლიოს შექმნა).
- მონაწილეობას დიზაინის კონკურსებში და საერთაშორისო უნივერსიტეტებთან გაცვლით პროგრამებში.
- სასურველია, დაწესებულებამ წაახალისო პედაგოგთა კვლევები და პუბლიკაციები: წაახალისების სახით აკადემიურ პერსონალს შესთავაზეთ პრემიები ან შემცირებული სასწავლო დატვირთვა, რეიტინგულ ჟურნალებში კვლევების გამოსაქვეყნებლად ან დიზაინის კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად. აღნიშნული ხელს შეუწყობს პროგრამის ფარგლებში უფრო მეტად კვლევაზე ორიენტირებულ გარემოს.
- სასურველია, გაძლიერდეს თანამშრომლობა ინდუსტრიასთან და კურსდამთავრებულებთან: სასურველია, მოგების ნაწილი გამოყენებული იყოს კურსდამთავრებულთა ქსელების მენტორობის და კარიერული განვითარების

აქტივობებში ჩართულობისთვის. სასურველია, დაამყაროთ პარტნიორული ურთიერთობები დიზაინის სტუდიებთან ან სააგენტოებთან თანამშრომლობითი სასწავლო აქტივობების განხორციელების მიზნით, რაც უზრუნველყოფს აუდიტორიის მიღმა სტუდენტების მიერ პრაქტიკული გამოცდილების მიღებას.

2. მეორე საკითხი: შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო (180 კრედიტიანი), „ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში“ სამაგისტრო, „ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო, „ციფრული მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო, „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო და „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადეს ციური დურულმა და ვასილ კიკუტაძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰქონით დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტი, სტეფან ვეიტი (Stefan Veith), მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში ექვსი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი გაიმართა 2024 წლის 30 სექტემბრიდან 4 ოქტომბრის ჩათვლით. მისი თქმით, ყველა პროგრამა შეესაბამება მოთხოვნებს, თუმცა გაცემული იყო 5 რეკომენდაცია და რამდენიმე რჩევა. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტი უკვე მუშაობს იმ მოთხოვნების შესრულებაზე, რომლებიც რეკომენდაციებში იყო წარმოდგენილი. სამწუხაროა, რომ ექსპერტთა ჯგუფს არ შეუძლია დასკვნაში შეიტანოს ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც ვიზიტის შემდეგ განხორციელდა დაწესებულებაში. „ციფრული მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამის მიმართ გაცემული პირველი რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამაში „აკადემიური წერის“ სასწავლო კურსის დამატებას. ამ რეკომენდაციის გაცემა გამოიწვია ყველა სხვა სამაგისტრო პროგრამაში „აკადემიურ წერის“ სასწავლო კურსის არსებობამ. პროგრამაში ინტეგრირებული არის „კვლევის მეთოდების“ სასწავლო კურსი, რომელიც შინაარსობრივად განსხვავდება „აკადემიურ წერის“ სასწავლო კურსისგან. ამავე პროგრამის მიმართ გაცემული მეორე რეკომენდაცია ეხებოდა ხელოვნური ინტელექტის საკითხების უფრო მკაფიოდ და მეტად დაფარვას. მესამე რეკომენდაცია კლასტერული ხასიათის იყო, რომელიც ეხებოდა კურსების შეფასების ფარგლებში ერთი ქულის საშუალებით უმაღლესი და უმდაბლესი შეფასების განსაზღვრას.

მან აღნიშნა, რომ მეოთხე რეკომენდაცია დასკვნაში კლასტერული რეკომენდაციის სახით იყო მოცმული, რომელიც ეხებოდა სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობის საკითხებს, კერძოდ, გამომდინარე იქიდან, რომ უნივერსიტეტს ჰყავს მზარდი რაოდენობის მაგისტრანტები და დოქტორანტები, რეკომენდებულია თითოეულ ხელმძღვანელზე მოდიოდეს ნაკლები დოქტორანტი და მაგისტრანტი, რათა მათი სამუშაო დატვირთვა იყოს მეტად მართვადი. ასევე მეხუთე რეკომენდაცია კლასტერული ხასიათის იყო, რომელიც ძირითადად ეხებოდა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს, კერძოდ, რეკომენდებულია, უნივერსიტეტს ჰქონდეს წვდომა ფინანსურ და ეკონომიკურ მონაცემთა ბაზებზე, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ემპირიული კვლევებისთვის. აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება შესაძლებელია მოხდეს ბანკებთან ან სხვა ტიპის ფინანსურ ინსტიტუციებთან თანამშრომლობის ფარგლებშიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ვიცე რექტორი, რუსუდან ჩიქოვანი, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, უნივერსიტეტისთვის ეს იყო პირველი კლასტერული აკრედიტაცია. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ექვსივე პროგრამა შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუმცა გაიცა 5 რეკომენდაცია, რომელთა დაკავშირებითაც დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია. მან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, დავით ბოსტოლანაშვილს, მიმართა, რომ გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით უნივერსიტეტის პოზიცია გაეცნო აკრედიტაციის საბჭოსთვის. დავით ბოსტოლანაშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული ხუთი რეკომენდაციიდან არცერთი არ აყენებს ეჭვეჭვეშ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მათი უმრავლესობა ან უკვე არის გაზიარებული და შესრულებული, ან დაწესებულება გამოთქვას მზაობას, რომ პროგრამების შემდგომი განვითარებისათვის და გაუმჯობესების მიზნით გააგრძელებს მათზე მუშაობას. არსებობს ერთი რეკომენდაცია, რომლის მიმართ უნივერსიტეტს განსხვავებული მოსაზრება აქვს. ეს ეხება მესამე რეკომენდაციას, რომელიც დასკვნაში შემდეგი შინაარსით არის მოცემული: „თითოეული კურსის შეფასების კრიტერიუმებში მითითებული უმაღლესი და უდაბლესი შეფასებები განისაზღვროს მხოლოდ ერთი კონკრეტული ქულის სახით“.

დავით ბოსტოლანაშვილის თქმით, ამ პროგრამების შემუშავება მოხდა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელოს მიხედვით, რომელიც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის მიერ არის შემუშავებული. შეფასების კრიტერიუმები შეიძლება იყოს როგორც აბსოლუტურად, ისე შეფარდებით განსაზღვრული, რა დროსაც შეფასების სქემაში შეფასების კრიტერიუმის ერთ დონეში დადგენილია მინიმალური და მაქსიმალური ქულების ზღვარი, მაგალითად 9-10 ქულა, 7-8 ქულა და ა.შ. ექსპერტთა ჯგუფის მიერ საუბარი იყო, რომ უმაღლესი და უდაბლესი შეფასება 1 ქულით განსაზღვრულიყო. უდაბლესი გასაგებია, რომ არის 0 ქულა, თუმცა ექსპერტების მოთხოვნა არის, რომ უმაღლესი ქულა 10 ქულით იყოს განსაზღვრული. მისი თქმით, ამგვარი შეფასების კრიტერიუმები მრავალ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში წარმოადგენს დამკვიდრებულ პრაქტიკას და არ ეწინააღმდეგება აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებს. ექსპერტთა ვიზიტის დროს, როდესაც დაისვა ეს შეკითხვა, დაწესებულების პასუხი იყო ასეთი, რომ შეფასების კრიტერიუმების მაჩვენებელი ჩამოყალიბების თვალსაზრისით არის პროფესორის გადასაწყვეტი. საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის მიხედვით, აკადემიური თავისუფლება დაცულია. გარდა ამისა, ამ ნორმის გაგრძელებას ვხვდებით „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლში, სადაც განმარტებულია თუ რა არის აკადემიური თავისუფლება, კერძოდ, აკადემიურმა პერსონალმა დამოუკიდებლად განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და სწავლება. სწავლებაში, რა თქმა უნდა, იგულისხმება სწავლებისა და შეფასების მეთოდების განსაზღვრა. გარდა ამისა,

აკადემიური პერსონალის უფლებები მოცემულია ამავე კანონის 37-ე მუხლში, რომლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტში ვკითხულობთ, რომ აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება. ასევე „გ“ ქვეპუნქტი ამბობს, რომ აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსების) შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გამოთქმული მოსაზრება, რომ ატარებდეს რჩევის ხასიათს, დაწესებულება გაუზიარებდა აკადემიურ პერსონალს ამ მოსაზრებას და სთხოვდა, რომ სურვილისამებრ გაეთვალისწინებინათ ეს მოთხოვნა, თუმცა რეკომენდაციის სავალდებულო ხასიათი გულისხმობს, რომ კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის თითოეულ წარმომადგენელს დაწესებულებამ უნდა მოსთხოვოს ამ რეკომენდაციის გათვალისწინება, მიუხედავად იმისა თუ რა სპეციფიკა ახასიათებს ამა თუ იმ საგანს. იმის გათვალისწინებით, რომ აკრედიტაციის საბჭოზე მიღებული გადაწყვეტილება ატარებს პრეცედენტულ ხასიათს, თუ საბჭო გაითვალისწინებს ამ რეკომენდაციას, მაშინ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებულ ყველა აკადემიურ პერსონალს მოეთხოვება იგივე. ცენტრი უფლებამოსილია შეფასოს საგანმანათლებლო პროგრამები, მაგრამ შეფასების პროცესი არ შეიძლება გულისხმობდეს აკადემიური თავისუფლების ფარგლებში ჩარევას, რაც პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციასა და „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან. შესაბამისად, ყოველივე ამის გათვალისწინებით დაწესებულება არ იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, აკავი ხელაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, თუ შეფასების მეთოდი და მიდგომა გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია სტუდენტისთვის, მაშინ რატომ უნდა იყოს აუცილებლად ერთი კონკრეტული ქულის სახით განსაზღვრული თითოეული კურსის შეფასების კრიტერიუმებში მითითებული უმაღლესი და უდაბლესი შეფასებები. ასევე „აკადემიური წერის“ არსებობა კონკრეტულ პროგრამაში არის თუ არა წინაპირობა რომელიმე სწავლის შედეგის მიღწევის.

საერთაშორისო ექსპერტმა, სტეფან ვეიტმა (Stefan Veith) განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი არ შეხებია აკადემიური თავისუფლების პრინციპს. მაგალითად, როდესაც დაწესებულება ამბობს „მაღალ აკადემიურ დონეს“, აუცილებელია, რომ ეს მცავიონ და კონკრეტული ქულითაც იყოს გამოხატული. მისი თქმით, იქიდან გამომდინარე, რომ სხვა სამაგისტრო პროგრამებში იყო მოცემული „აკადემიური წერის“ სასწავლო კურსი, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ „ციფრული მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამაშიც უნდა იყოს ეს საგანი. თითოეული სწავლის შედეგის ნაწილი ნამდვილად ეხება აკადემიურ საზოგადოებას. შესაბამისად, აკადემიურ საზოგადოებასთან კომუნიკაციის თვალსაზრისითაც „აკადემიური წერის“ დამატება აღნიშნულ პროგრამაში რელევანტურია.

თამთა ლეკიშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ყველა სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს „აკადემიური წერის“ სასწავლო კურს, თუმცა არსებობს ზოგიერთი სამაგისტრო პროგრამა, რომელიც აგებულია თანამშრომლობის ფარგლებში. მათ შორის „ციფრული მენეჯმენტის“ პროგრამაა, რომელიც შეიქმნა გერმანელ პარტნიორებთან ერთად. შესაბამისად, საკითხები, რომლებიც „აკადემიური წერის“ ფარგლებში სავალდებულოა სამაგისტრო საფეხურზე, რა თქმა უნდა, მისაღებია და დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას. მისი თქმით, უნარები სწავლების პერიოდში სხვადასხვა კურსებში რეფერატისა და სხვადასხვა პროექტის წერის ფარგლებში გამომუშავდება, რომელიც ჯამურად მოცემულია „კვლევის მეთოდების“ სასწავლო კურსში, სადაც წარმოდგენილია არაერთი საკითხი აკადემიური წერის შესახებ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, დავით ბოსტოლანაშვილმა განმარტა, რომ აკადემიური თავისუფლების პრინციპის დარღვევა დაწესებულებამ ახსენა იმ კონტექსტში თუ აკრედიტაციის საბჭო ექსპერტთა მიერ გაცემულ მესამე რეკომენდაციას გაიზიარებდა. აღნიშნული რეკომენდაციის გაზიარების შემთხვევაში, დაწესებულებას მოუწევს მოსთხოვოს ყველა აკადემიურ პერსონალს რომ ამგვარად ან სხვაგვარად ჩამოაყალიბონ შეფასების კრიტერიუმები. პროფესორის გადასაწყვეტია, როგორ სწავლის მეთოდებს, როგორ შეფასების მეთოდებს და როგორ შეფასების კრიტერიუმებს ჩამოაყალიბებს, ეს არის პროფესორის აკადემიური თავისუფლება და დაწესებულება არ მიიჩნევს მართებულად მათ აკადემიურ თავისუფლების ფარგლებში ჩარევას. თამთა ლეკიშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნულ პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰქონდა ერთი ციკლი დასრულებული და მოახდინა პროგრამის სწავლის შედეგების შემოწმება, ასევე წარმოდგენილი იყო სამაგისტრო ნაშრომი, და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას უნივერსიტეტს არ აღმოუჩენია რაიმე ხარვეზი ამ მიმართულებით. თამთა ლეკიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ შეფასების არსებული სისტემა სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან და მინისტრის #3 ბრძანებასთან.

ექსპერტმა სოსო გაზდელიანმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია მისაღებია ამ საკითხთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონია არანაირი განზრახვა იმის, რომ აკადემიური თავისუფლების პრინციპის დამრღვევი რეკომენდაცია გაეცა. აქ საუბარია იმაზე, რომ თითოეული კურსის შეფასების კრიტერიუმებში მითითებული უმაღლესი და უდაბლესი შეფასებები განისაზღვროს მხოლოდ ერთი კონკრეტული ქულის სახით. როგორც ცალსახად არის განსაზღვრული, რომ 0 ქულა არ აკმაყოფილებს კონკრეტულ სტანდარტებს, ასევე უმაღლესი ქულაც ცალსახად უნდა ამბობდეს რომ ნაშრომი შესრულებულია იდეალურად. მსგავსი პრაქტიკა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებობს. მსგავსი რეკომენდაცია სხვა დაწესებულებებისთვისაც ყოფილა გაცემული და მათი მხრიდანაც გაზიარებულა. მაგალითად, 9-10 ქულის შემთხვევა არ უნდა ტოვებდეს ინტერპრეტირების შესაძლებლობას.

თამთა ლეკიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ქულების სისტემა შემუშავებული აქვს მინისტრის მესამე ბრძანების მიხედვით. კერძოდ, ამ ბრძანების მიხედვით, თუ A შეფასებას მერყეობს 91-100 ქულამდე დიაპაზონში, დაწესებულებამ გადაწყვიტა ამავე ლოგიკაზე დაყრდნობით, კურსების ხელმძღვანელების ჩართულობით, განესაზღვრა შიდა დიაპაზონი - 9-10 ქულა.

ექსპერტმა სოფიო ხუნდამემ აღნიშნა, რომ როგორც 0 ქულა არის ყველაზე დაბალ შეფასებად განსაზღვრული, ასე უნდა განისაზღვროს მაღალი ქულაც. „აკადემიურ წერასთან“ დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი არ თვლიდა იმას, რომ რომელიმე შედეგი არ ითარებოდა არსებული სასწავლო გეგმით. მისი თქმით, იქიდან გამომდინარე, რომ სხვა სამაგისტრო პროგრამებში იყო „აკადემიური წერის“ სასწავლო კურსი მოცემული, ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ „ციფრული მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამაშიც ყოფილიყო ეს საგანი. სტუდენტისათვის ამ საგნის ცალკე კურსად შეთავაზება გააუმჯობესებდა ნაშრომების ტექნიკურად გაფორმების საკითხს. საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულება. მისი თქმით, ბიზნესის და ინჟინერის ფაკულტეტის საპროგნოზო ბიუჯეტში მოცემულია ერთ-ერთი მუხლი, რომელიც ეხება გამოყოფილი ასიგნებების, სამეცნიერო აქტივობებისა და საგრანტო პროექტების დაფინანსების საკითხს. მას აინტერესებდა, საგრანტო პროექტებთან მიმართებით რა ტიპის დაფინანსება არსებობდა და მიესადაგებოდა თუ არა ეს დაფინანსებები სტუდენტთა მხარდაჭერის საკითხს, მუშაობს თუ არა სტუდენტების პროექტებთან მიმართებით აღნიშნული მუხლი. დავით სიხარულიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას გააჩნია ისეთი მექანიზმი, რომელიც გულისხმობს შიდა საგრანტო პროექტების დაფინანსებას როგორც აკადემიური პერსონალისთვის, ისე სტუდენტებისთვის. აკადემიური პერსონალისთვის ყოველწლიურად ცხადდება საგრანტო კონკურსი, ხოლო სტუდენტების შემთხვევაში არ ცხადდება. დაწესებულება სტუდენტს ყოველწლიურად აძლევს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ნებისმიერ დროს თუ მას ექნება იდეა

სამეცნიერო-კვლევითი ან სხვა სახის კულტურულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, შეუძლია პროექტი წარუდგინოს ფაკულტეტს და ამ პროექტის საფუძველზე მიიღოს დაფინანსება 5000 ლარის ფარგლებში. რაც შეეხება პროექტის მომზადებას, ფაკულტეტი ერთის მხრივ თეორიულ ინფორმაციას აწვდის სტუდენტებს პრეზენტაციების სახით, თუ როგორ უნდა მომზადდეს პროექტი და, მეორეს მხრივ, კონკრეტული პროექტის მომზადების დროსაც უწევს დახმარებას. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ბოლო 2 წლის განმავლობაში, რამდენიმე სტუდენტის და სტუდენტთა ჯგუფის პროექტები იქნა დაფინანსებული. დავით სიხარულიძემ ასევე, ისაუბრა მონაცემთა ბაზებთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციის შესახებ. მან აღნიშნა, რომ სტუდენტს აქვს ხელმისაწვდომობა „ბრიგჰემის“, „Investment Companies“ და სხვა კომერციული თუ საჯარო საზოგადოების მიერ შემოთავაზებულ ბაზებზე და ხაზი გაუსვა, რომ ეს საკმარისია ფინანსური მიმართულების აქციების შესაფასებლად და ანალიზის გასაკეთებლად. თუმცა, უნივერსიტეტი მუშაობს იმაზე, რომ გარდა აღნიშნული უფასო ვერსიებისა, ასევე, მიიღოს ფასიანი ვერსიები, რათა უფრო მეტი ხელმისაწვდომობა ჰქონდეს უნივერსიტეტს ამ ბაზებთან მიმართებით. დიმიტრი ჯაფარიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესთან დაკავშირებით. მისი თქმით, დაწესებულებას აქვს მეთოდოლოგიური შეფასების ორი ბაზა, კერძოდ, საქმიანობა სამეცნიერო-კვლევითი, გამოქვეყნებებისა და ციტირების ინდექსის სახით. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირების საქმიანობაში რეცენზენტი იღებს ოთხ ქულას. მას აინტერესებდა, დაწესებულებას თუ ჰქონდა დადგენილი ლიმიტი ნაშრომების რაოდენობასთან დაკავშირებით; დიდი რაოდენობის ნაშრომებზე რეცენზირების განხორციელებით შესაძლებელი იყო თუ არა რეცენზენტი ასულიყო 50 ქულაზე და მეტზე. დავით ბოსტონიაშვილმა აღნიშნა, რომ გამორიცხულია 10 და მეტი რეცენზირებისთვის გადაეცეს ნაშრომი აკადემიურ პერსონალს.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რითი რეგულირდებოდა გადაცემული სარეცენზიონ ნაშრომების რაოდენობა. დავით ბოსტონიაშვილმა განაცხადა, რომ გარდა შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციებისა რეგულირდებოდა არსებული პრაქტიკით.

დავით სიხარულიძემ აღნიშნა, რომ ის იყო სამეცნიერო კვლევების განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი და ბოლო ოთხი წლის განმავლობაში უნივერსიტეტს ჰქონდა თვითშეფასების ფორმა, რომელსაც ავსებდა აკადემიური პერსონალი. შესაბამისად, მსგავსი პრეცედენტი არასდროს ყოფილა, კერძოდ, რეცენზენტი ასულიყო 50 ქულაზე და მეტზე.

დიმიტრი ჯაფარიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, უნივერსიტეტს აქვს ქულების მაგნენირებელი სხვა მუხლებიც, რომლებიც უკავშირდება არა აქტივობას, არამედ აკადემიური პირის სტატუს. მაგალითად, ეროვნული სამეცნიერო აკადემიის წევრზე არის 40 ქულა, ხოლო წევრ-კორესპონდენტზე 20 ქულა. მას აინტერესებდა, ეროვნული სამეცნიერო აკადემიის წევრობა ან წევრ კორესპონდენტობა გულისხმობს თუ არა გარკვეული სამეცნიერო აქტივობების ქონას. დავით ბოსტონიაშვილმა აღნიშნა, რომ როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის წევრობა ან წევრ კორესპონდენტობა გულისხმობდა გარკვეული სამეცნიერო აქტივობების ქონას, რომელიც იყო ერთ-ერთი წამახალისებელი მექანიზმი ამ მიმართულებით განვითარებისთვის. დიმიტრი ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევაში მოცემული იყო რამდენიმე დიაგრამა წყაროს გარეშე, რომლებიც შეიცავდნენ სავარაუდო სახელმწიფო სტატისტიკის მონაცემებს. მისი თქმით, კარგი იქნებოდა თუ უნივერსიტეტი ამ ტექნიკურ ხარვეზს გამოასწორებდა და მიუთითებდა წყაროს.

დიმიტრი ჯაფარიძემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს. მისი თქმით, ერთ-ერთი რჩევა დასკვნაში შემდეგი შინაარსით იყო მოცემული: სასურველია სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებს მათ მიერ სახელმძღვანელო დისერტაციის შესაბამის სფეროში ჰქონდეთ მინიმუმ ერთი პუბლიკაცია მაღალ რეფერირებად ჟურნალებში და იქვე მითითებულია, რომ ეს უნდა იყოს Scopus-ი. “. მას აინტერესებდა, რას უკავშირდებოდა ექსპერტთა მიერ Scopus-ზე მითითება მაშინ, როდესაც არსებობს ანალოგიური რეპუტაციის მქონე სხვა არაერთი ბაზა.

საერთაშორისო ექსპერტმა, სტეფან ვეიტმა (Stefan Veith) აღნიშნა, რომ Scopus-ი მოიცავდა ბევრ რეიტინგულ ჟურნალს. ეს ჟურნალები დაყოფილია „Q1“, „Q2“, „Q3“ და ა.შ კატეგორიების მიხედვით, რომელთა საშუალებით შესაძლებელია ხარისხისა და რეიტინგის კონტროლი. შესაბამისად, Scopus-ში გამოქვეყნება დოქტორანტებისათვის კარგი გამოცდილება იქნებოდა. დიმიტრი ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ მხოლოდ „Scopus“-ის ბაზაზე მითითებამ შეიძლება წინააღმდეგობები გამოიწვიოს. შესაბამისად, კარგი იქნება თუ დაწესებულება დოქტორანტს მისცემს სხვა ბაზების რეფერირებად ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნების შესაძლებლობას. დავით სიხარულიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების დებულების მიხედვით დოქტორანტი მხოლოდ „Scopus“-ით არ არის შეზღუდული. მას შესაძლებლობა აქვს სხვა ბაზების რეფერირებად ჟურნალებში გამოაქვეყნოს ნაშრომები.

საერთაშორისო ექსპერტმა, სტეფან ვეიტმა (Stefan Veith) აღნიშნა, რომ „Scopus“-თან დაკავშირებით გაცემული რჩევა მიემართებოდა არა სტუდენტების პუბლიკაციებს, არამედ ნაშრომების ხელმძღვანელებს.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, როგორ აპირებდა უნივერსიტეტი ორმაგი დიპლომების მქონე პროგრამების განვითარებას. თამთა ლეკიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს ხანგრძლივი ურთიერთობები პარტნიორ უნივერსიტეტებთან პროგრამების განვითარების მიზნით. დაწესებულება თანამშრომლობს „აშაფენბურგის“, „ფრესენიუსის“, „კიოლნის“ და „ლოძის“ უნივერსიტეტთან. უნივერსიტეტი მონაწილეობას იღებს მათთან ერთად საერთაშორისო კონფერენციებში, რომელიც უკვე 5 წელია მიმდინარეობს. საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა უსასყიდლოდ შეუძლია როგორც სტუდენტს, ისე აკადემიურ პერსონალს. რა თქმა უნდა, ამ დროს ორ უნივერსიტეტს შორის იდება ე.წ. „Learning Agreement“-ი, რომლის საფუძველზეც ხდება ორმაგი დიპლომის აღიარება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:33

დასრულების დრო: 17:45

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა შეფასება. საბჭომ 2.4 კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული კლასტერული რეკომენდაცია გადაიტანა რჩევებში, რამაც გამოიწვია კომპონენტის შეფასების ცვლილება და 2.4 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. აღნიშნულ ცვლილებას არ გამოუწვევია მთლიანი სტანდარტის შეფასების ცვლილება.

1. საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (180 კრედიტიანი) 7 წლის ვადით აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

1. გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების

შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას (180 კრედიტიანი) მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

2. საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

2. გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

3. საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

3. გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის

№223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

4. საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „ციფრული მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

4. გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „ციფრული მენეჯმენტის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

5. საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

5. გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

6. საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

6. გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ერთ პირზე სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობის რაოდენობის შემცირება. ეს უზრუნველყოფს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ოპტიმალურ დატვირთვას და დოქტორანტებისა და მაგისტრანტების სათანადო ხელმძღვანელობას. 3.2
- რეკომენდებულია წვდომის მოპოვება ფინანსურ და/ან ეკონომიკურ მონაცემთა ბაზებზე, სასურველია საერთაშორისო ბაზრების ჩართულობით. 4.4

პროგრამული რეკომენდაციები:

პროგრამა 4 (ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა "ციფრული მენეჯმენტი"):

- რეკომენდებულია, პროგრამაში "აკადემიური წერის" კურსის გათვალისწინება. აღნიშნული კურსი შეტანილია კლასტერში დაჯგუფებულ ყველა სხვა სამაგისტრო პროგრამაში, ხოლო მასთან დაკავშირებული "კვლევის მეთოდების" კურსი ითვალისწინებს აკადემიურ წერას მხოლოდ რამდენიმე კვირის განმავლობაში და უფრო მეტად ორიენტირებულია მონაცემთა შეგროვებაზე და ანალიზზე. 1.4
- აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის ფარგლებით მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისად, რეკომენდებულია, "ხელოვნური ინტელექტის" საგნობრივი სფეროს უფრო მკაფიოდ წარმოჩენა. ეს შესაძლებელია განხორციელდეს ან სპეციალური კურს(ები)ს შეთავაზებით, ან არსებული კურსების სილაბუსებში ამ თემატიკის ინტეგრირებით. 1.4

რჩევები:

კლასტერის საერთო რჩევები:

- ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული გამოწვევების საპასუხოდ, სასურველია უნივერსიტეტმა ან ფაკულტეტმა შეიმუშაოს სტრატეგია, თუ როგორ მოხდეს მათი გამოყენების რეგულირება ან მხარდაჭერა სწავლებისა და კვლევის პროცესში. 2.3

- სასურველია, თითოეული კურსის შეფასების კრიტერიუმებში მითითებული უმაღლესი და უდაბლესი შეფასებები განისაზღვროს მხოლოდ ერთი კონკრეტული ქულის სახით. 2.4
- სამომავლოდ ბიზნეს პროგრამების კურსდამთავრებულთათვის მაქსიმალურად ფართო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება გაფართოვდეს და მოიცვას მეწარმეობისა და თვითდასაქმების საკითხები. 3.1
- სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეების (CV-ების) რეგულარული განახლება ბოლო სამეცნიერო პუბლიკაციების შესახებ ინფორმაციის ასახვით. (4.1)
- არსებული ეროვნული ექსპერტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების გარე კოლეგიალური შეფასების ჩარჩოს გარდა, სასურველია არსებული ქსელის გამოყენება და გარე კოლეგიალური შეფასების გაფართოება უცხოელი ექსპერტების ჩართვით.(5.2)

პროგრამული რჩევები:

პროგრამა 2 (სამაგისტრო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში“):

- აღნიშნული სამაგისტრო პროგრამებით მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისად, სასურველია უფრო მკაფიოდ წარმოჩნდეს „მდგრადი ფინანსების“ და/ან „ციფრული ვალუტების“ საგნობრივი სფერო, მაგალითად არჩევით კურსებში. ეს შესაძლებელია განხორციელდეს ან სპეციალური კურს(ებ)ის შეთავაზებით, ან არსებული კურსების სილაბუსებში ამ თემატიკის ინტეგრირებით. 1.4

პროგრამა 3 (ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსებში“):

- აღნიშნული სამაგისტრო პროგრამებით მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისად, სასურველია უფრო მკაფიოდ წარმოჩნდეს „მდგრადი ფინანსების“ და/ან „ციფრული ვალუტების“ საგნობრივი სფერო, მაგალითად არჩევით კურსებში. ეს შესაძლებელია განხორციელდეს ან სპეციალური კურს(ებ)ის შეთავაზებით, ან არსებული კურსების სილაბუსებში ამ თემატიკის ინტეგრირებით. 1.4

პროგრამა 6 („საჯარო მმართველობა“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა):

- აღნიშნული სამაგისტრო პროგრამით მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისად, სასურველია უფრო მკაფიოდ იყოს წარმოდგენილი "საჯარო მმართველობის გაციფრულებასთან" დაკავშირებული საგნები, მაგალითად არჩევით კურსებში. ამის განხორციელება შესაძლებელია როგორც სპეციალური კურს(ებ)ის შეთავაზებით, ასევე აღნიშნული თემატიკის არსებული კურსების სილაბუსებში ინტეგრირებით. 1.4

პროგრამა 5 (სადოქტორო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“):

სასურველია სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებს ჰქონდეთ მინიმუმ ერთი პუბლიკაცია Scopus-ის ბაზაში მათ მიერ სახელმძღვანელო დისერტაციის შესაბამის სფეროში. 3.2

მესამე საკითხი: "სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 30 სექტემბრის №1197008 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

თვითაცილება განაცხადა ნინო ჭალაგანიძემ, საფუძველი შრომითი ურთიერთობა

საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

სიტყვა ითხოვა უმაღლესი განათლების ხარსიხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა ლალი ოდიშვილმა. მან განმარტა, რომ 2024 წლის განმავლობაში ახალი დარგობრივი მახასიათებლების შექმნისა და არსებული მახასიათებლების დახვეწის პროცესის შედეგად, შესაბამისი ცვლილებები შევიდა სწავლის სფეროების კლასიფიკატორში. კერძოდ, ცენტრის დირექტორის №290536, 11/03/2024 ბრძანებით დამტკიცებული "განათლების ადმინისტრირების" უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელის საფუძველზე, შესაბამისი ცვლილება განხორციელდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ "სწავლის სფეროების კლასიფიკატორში" და მოხდა "განათლების ადმინისტრირების" სწავლის სფეროს გადატანა 0413 - „მენეჯმენტი და ადმინისტრირების" დეტალური სფეროდან 0188 - განათლების ინტერდისციპლინურ სფეროში (ცვლილების ბრძანება №136/ნ, 16/08/2024). აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებული "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ვადის ცვლილება, რადგან მოცემული საგანმანათლებლო პროგრამები განთავსდა განათლების ვიწრო სფეროში.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 10 დეკემბრის №1595816 და №1595814 ბრძანებების შესაბამისად, ცვლილებები შევიდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 ივნისის №739910 და №739908 ბრძანებებში, რომლის შესაბამისად, სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული 011 განათლების ვიწრო სფეროს და 018 ინტერდისციპლინური ვიქრო სფეროს სწავლის სფეროების პროგრამებისთვის ხელახალი აკრედიტაციის ვადები განისაზღვრა - 2025 წლის 1 სექტემბრით.

თუმცა, აღნიშნული ცვლილება მინისტრის ბრძანებით არ შეხებია სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას, რადგან, ეს პროგრამა არის აკრედიტებული მას შემდეგ, რაც დამტკიცდა (№739910 და №739908) საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის ხელახალი აკრედიტაციის ეტაპები და საგანმანათლებლო პროგრამების ვადები.

შესაბამისად "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 32² მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 10 დეკემბრის №1595816 და №1595814 ბრძანებების მიხედვით, "სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 30 სექტემბრის №1197008 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის გზით, ამ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადა ნაცვლად 2024 წლის 31 დეკემბრისა, მიზანშეწონილია განისაზღვროს 2025 წლის 01 სექტემბერი.

საბჭოს თავმჯდომარენ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ დამატებითი მოსაზრებების ან შეკითხვები აღნიშნულ საკითხთან მიმართებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:00

დასრულების დრო: 18:10

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: "სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 30 სექტემბრის №1197008 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის, "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 32² მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 10 დეკემბრის №1595816 ბრძანების მიხედვით, "სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 30 სექტემბრის №1197008 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების დანართ №1-ში შევიდეს ცვლილება და საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადა განისაზღვროს 2025 წლის 01 სექტემბერი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2024 წლის 11 დეკემბერს 17:50 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

მ. 8796/3

ო. გომი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ

